...როლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 13 აპრილი 1926 წ. | წლიწადი მეექვსე | ფასი 3 კ.

# წითელი მხედარი

...79 (1074) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24. განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## წითელი ფიცი.

...მოახლოვდა საერთაშორისო ...ოლეტარიატის დიდი დღე-...სწაული, პირველი მაისი და ...ენი კავშირი დიდი აღფრთო-...ნებით ემზადება ამ დღესას-...ულის ჩატარებისათვის.

...ასაკვირველია ჩვენ მიერ ...დასახადი დღესასწაულისათ-...ს მზადება და მისი ჩატარება ...რალო გასართობის სახით ...არ იქნება ჩატარებული, არა-...ამ დღესასწაულის დროს ...ნ ერთხელ კიდევ მოვახდე-...ჩვენი რკინისებური რიგე-...დათვალიერებას.

ჩვენი წითელი ლაშქარი ამ ...ღეს უნდა გამოვიდეს და აგრ-...ობინოს მტერს და მოყვა-...ს, თავისი გმირული სულის-...თება და მასში განვითარე-...ლი დიდი რევოლიუციო-...რი განწყობილება.

...განსაკუთრებით ამ დღეს წი-...ლი ფიცს დასდებს ჩვენი ...მუშურ გლეხური ხელისუფლე-...წინაშე, 1903 წ. დაბადე-...ლ ახალწვეულთა რიგები.

...ამ ახალწვეულებმა პირველი ...სის დღესასწაულის დროს ...თელი ფიცი უნდა დასდოს ...ჭოთა ხელისუფლების წინა-...და საქვეყნოთ უნდა განაც-...დოს თავისი დიდი სურვილი ...მისწრაფება, იარაღით ხელ-...მუდამ მუშური რესპუბლი-...დაცვისათვის თავგანწირვა.

...ამ ჟამად დიდი მუშაობა სწა-...ოებს ამ მხრივ ახალწვეულ-...შორის.

ჩვენი საბჭოთა ხელისუფლე-...ფიცის დადებისათვის ჯა-...ს ნაწილებს მთელი ექვსი ...ის განმავლობაში ამზადებს. ...ხნის განმავლობაში ახალ-...ვეულები ეცნობიან ყაზარ-...ლ ცხოვრებას და საერთოდ ჩვენი წითელი ჯარის მუშაო-ბას და მის მიზნებს.

მაშასადამე დღეს ჩვენი ჯა-რის ნაწილების ფიცის დადება არ ხდება ისეთი წესით და გა-გებით, როგორც ეს ხდებოდა მეფის წესწყობილების დროს.

მაშინ ყოველი გაწვეული ჯარის კაცი ვალდებული იყო იმ დღესვე მიეცა ფიცი, რა დღესაც იგი ფეხს შესდგამდა მეფის ჯარის რიგებში.

ჩვენი წითელი ჯარი მუშურ გლეხურია. მისი ყოველი წე-ვრმა უნდა იცოდეს ის, თუ რა მიზნების მატარებელია წითე-ლი ჯარი.

წინეთ, მეფის არმიაში, ჯა-რის კაცებს არ უხსნიდენ იმას, თუ რა მიზნებს ატარებდა მე-ფის არმია. მეფის არმიის მიზ-ნების გათვითცნობიერებას მო-კლებული იყო მეფის ჯარის კაცი, რადგან მისი გაგება ზი-ანს მოუტანდა მეფის ხელისუფ-ლებას.

დღეს კი პირიქით.

დღეს მთელი ჩვენი დღევან-დელი მუშაობა მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რომ მო-ახლოვებული დღესასწაულის, პირველი მაისის ჩატარების დროს, ჩვენი ახალწვეულთა შორის არ უნდა დარჩეს არც ერთი ისეთი ამხანაგი, რომელ-საც არ ექნება კარგად შეგნე-ბული ჩვენი წითელი ჯარის მიზნები და ამოცანები.

მხოლოდ ასეთი პირობის შესრულებით შესაძლებელი იქ-ნება იმ წითელი ფიცის გამარ-თლება, რომელსაც მისცემს საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენი ახალწვეულები.

ამიტომ კარგათ მოვამზა-დოთ ახალწვეულები ფიცის დადებისათვის!

## ზავი მაროკოსთან.

...დიდი ხნის განმავლობაში ...როკო იყო საფრანგეთის და ...პანეთის ახალშენი, საიდანაც ...თ გამოქონდათ დიდძალი ...დლი მასალა და იყო მათი ...უსრულებელი გამდიდრების ...არო.

...ეხლა აღარ მოისურვა რი-...ებმა მუდმივათ მათ მონობა-...ყოფნა და აღსდგა საფრან-...თ—ესპანეთის იმპერიალის-...ების წინააღმდეგ. მათმა თავ-...ნწირულმა ბრძოლამ ნაყოფი ...მოიღო. ამ ომში გამარჯვე-...დარჩა რიფებს.

...ესპანეთმა და საფრანგეთმა ...რველათ არ მოისურვა ამ ...ელურ ტომებთან" ლაპარაკი ...მათ გასანადგურებლათ და ...ასამორჩილებლათ ამლაპარა-კა ზარბაზნები. მაგრამ ამ სა-პატიო საქმეს არც რიფები ჩა-მორჩა. ისინი გაერთიანდენ აბდ-ელ-ქერიმის "ხელმძღვანე-ლობის ქვეშ და სასტიკათ შე-ებრძოლენ ამ უსამართლობას და ძალდატანებას, რომელსაც მიმართეს ესპანეთმა და საფრა-ნგეთმა. რიფების ამ თავგანწი-რულმა ბრძოლამ ისინი დაარ-წმუნა, რომ საქმე ჰქონდათ მე-ტად სერიოზულ მოვლენასთან. როცა იარაღმა ველარ გასჭრა ეხლა მათ მიმართეს ენატკბილ დიპლომატიას.

როგორც დღევანდელი დე-პეშები იტყობინება, 8 აპრილს საფრანგეთის პრემიერს—ბრი-ანს თათბირი ჰქონდა ესპანე-თის ელჩთან პარიზში იმ პი-რობების შესახებ, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქ-ნება მოლაპარაკება რიფების ტომების წინამძღოლებთან მა-როკოში მტკიცე მშვიდობია-ნობის დასამყარებლათ.

ჰავასის სააგენტო აგრეთვე იუწყება, რომ მოლაპარაკება საფრანგეთ-ესპანეთის სარდლო-ბასა და აბდ-ელ-ქერიმს შო-რის დაუყონებლივ დაიწყება. საფრანგეთის დელეგაცია უკვე დანიშნულია; მოლაპარაკება გაიმართება უქაში (მაროკო) საფრანგეთის და ესპანეთის წი-ნასწარი თათბირის შემდეგ.

ჩვენ არ ვიცით რა ხასიათის იქნება ან რით დამთავრდება ეს მოლაპარაკება, მაგრამ ფაქ-ტია, რომ ამ „ველურებმა" აი-ძულეს ეს განათლებული სახე-ლმწიფოები ხელი აეღოთ ბრ-ძოლაზე და ეფიქრათ მშვიდო-ბიანობაზე. რასაკვირველია, ეს მათ არ მოსდით მშვიდობის მოყვარეობით ან რიფების უფ-ლების პატივისცემით, არამედ ისინი ვერას გახდენ იარაღით თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხის წინააღმდეგ და იძუ-ლებული შეიქნენ აჯანყებულ-ნი ტკბილი ენით და სხვა და სხვა დაპირებებით დაიმორჩი-ლონ. მათ იციან, რომ ეს აჯა-ნყება მოედება მთელს სამუსუ-ლმანო ქვეყნებს და მაშინ უსა-თუოდ სერიოზული საფრთხის წინაშე დასდგება ევროპის ცი-ვილიზაცია, რაც არ არის სა-სურველი და ხელსაყრელი სა-ფრანგეთ-ესპანეთის ბურჟუა-ზიისათვის.

აბდ-ელ-ქერიმმა კიდეც მი-მართა მოწოდებით მთელს მუ-სულმანებს და საღვთო ომის-კენ მოუწოდა მათ ევროპის კა-პიტალისტების წინააღმდეგ. ამან ჩააფიქრა საფრანგეთი და იგი მზადაა შესწყვიტოს ომი მა-როკოში და იფიქროს ზავზე.

ახლო მომავალი დაგვანახ-ვებს თუ ვისი მოკავშირე იქ-ნება სამართალი.

ს. მ.

# ახალი რადიო ამბები

## განწირულთა ოცნება.

### თეთრგვარდიელები მიწის საკითხს სწყვეტენ.

საზღვარგარეთ მყოფ თეთრგვარდიელთა ყრილობაზე პა-რიზში, მიუხედავად ყრილობის ზოგიერთ ფრთხილ წევრის მტკიცებისა, რომ ასეთ მრავალრიცხოვან კრებაზე არ შეი-ძლება მიწის საკითხის შესახებ აშკარად გამოითქვას აზრიო, რამოდენიმე ორატორი მოითხოვდა მემამულეებზე მიწის და-ბრუნებას.

შესვენების დროს გამომუშავებულ იქნა დათმობითი რე-ზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მიწები, რომლითაც სარგებლობენ გლეხები, უნდა დარჩეს მათ; შეუძლებელია დღეს აანაზღაურებიო გლეხებს ის, რაც დაიღუპა და მოტა-ცებულ იქნა რევოლიუციის დროს (იგულისხმება, რომ ის, რაც შენახულია, მისი ჩამორთმევა შეიძლება).

## ბალკანეთის შემთანხმებელთა კონფერენცია.

9 აპრილს ბულგარეთში გაიხსნა ბალკანეთის სახელმწი-ფოების შემთანხმებლურ პროფკავშირთა კონფერენცია.

ბელგრადის გაზეთი „ნოვოსტი" სწერს, რომ კონფერენ-ციის მიზანია დაიწყოს კამპანია პროფინტერნის (რევოლიუ-ციონურ პროფკავშირთა გაერთიანება) წინააღმდეგ, რომლის გავლენა ბალკანეთში განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ დროს.

## საფრანგეთის ფრანკის მდგომარეობა გაუა-რესდა.

### შესდგა კომიტეტი შეწირულების შესაკრებად.

საფრანგეთში შესდგა კომიტეტი, რომელმაც უნდა შეჰ-კრიბოს შეწირულება საფრანგეთის საგარეო ვალების გასას-წორებლად.

საქმიან წრეების გაზეთები აღნიშნავენ, რომ კომიტეტის შექმნა გამოიწვია ფრანკის კურსის ხელახლად გაუარესებამ.

## რიფებთან საზავო მოლაპარაკების პირობები

ფრანგებისა და ესპანელების რიფებთან საზავო მოლაპა-რაკების წინასწარი გეგმა შემდეგია: რიფებმა უნდა შეაჩერონ საომარი მოქმედება, უნდა მოხდეს ტყვეების გაცვლა, უნდა შეიქნას ნეიტრალური ზონა და მოშორებულ იქნას აჯანყე-ბულთა ბელადები.

საზავო მოლაპარაკების პროგრამაში შედიან შემდეგი საკითხები: უერგის საზღვრის მოგვარება, რიფის ოლქის ადმინისტრატიული დამოუკიდებლობა, განიარაღება და კონ-ტროლი რიფის ოლქზე.

## ამერიკა უარს ამბობს ერთა ლიგა-ში შესვლაზე

ამერიკის პრეზიდენტ კულიჯმა წამოსთქვა სიტყვა, რო-მელშიაც გაიმეორა, რომ შეერთებული შტატები მზად არიან შევიდენ საერთაშორისო ტრიბუნალში, თუ რომ მიღებულ იქნება მის მიერ წამოყენებული შენიშვნები, მაგრამ უარს ამბობს ერთა ლიგაში შესვლაზე.

## აჯანყება საბერძნეთში ჩაქრობილ იქნა

სალონიკის (საბერძნეთში) აჯანყება, რომელიც მოაწყო გენერალ პლასტიროსმა, უკვე საბოლოოდ ჩაცხრობილ იქნა პრეზიდენტ პანგალოსის ჯარებით. ოფიცრებსა და აჯანყების მოთავეებს გადასცემენ სასამართლოს. ფიქრობენ, რომ პანგა-ლოსი არავის არ დაზოგავს.

## აჯანყების ცდა ლისაბონში

ლისაბონიდან (პორტუგალიაში) მიღებულ ცნობით რა-დიკალები შეეცადენ ხელში ჩაეგდოთ სიმაგრე სენ-ხოსე, გარ-შემორტყმოდენ ყაზარმებს და იქიდან დაეწყოთ შეტევა პრე-ზიდენტის სასახლეზე.

მთავრობამ დროზე მიიღო ზომები აჯანყებულთა ძალე-ბის დაგროვების წინააღმდეგ. ამჟამად აღდგენილია წესრიგი.

## ამუნდსენი ლონდონში ჩაფრინდა

გუშინ 12 მარტს პულჰეიმის აეროდრომზე ჩაფრინდა ამუნდსენის დირიჟაბლი, რომელმაც გაიარა 1.400 მილი (7 ვერსი) 30 საათის განუწყვეტლივი ფრენით.

## საბჭოთა კავშირში

### გლეხის რადიო-გაზეთი

პირველი აპრილიდან კომინტერნის სადგურიდან დაიწ-ყება მთელს ქვეყანაზე პირველი საგლეხო რადიო-გაზეთის გადაცემა.

## საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა 10 აპრილს დაამტკიცა საკავშირო რესპუბლიკების მოთხოვნილებები დამატებითი 17 მილიონ 750 ათას მანეთზე.

შრომის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვა დამტ-კიცებულია 21 მილიონ 225 ათასი მანეთის რაოდენობით.

# საქართველოში.

## ამნისტიით გათავისუფლებულნი

საქართველოს წითელი არმიის ხუთი წლის თავის გამო გათავისუფლებულია პატიმრობიდან 21 და 27 სასჯელ გა-დაწყვეტილი და გამოძიების ქვეშ მყოფი წითელ არმიელი.

8 მარტის ამნისტიით გათავისუფლებულია ერთი ქალი.

## შავი ჭიათურის მაღაროში

„ფორვუდას" მაღაროში 8 აპრილს ჩამოშვავებულ შავ-ქვამ მოჰკლა 2 მუშა და დასჭრა ერთი.

შავი მოხდა ახალ ჰრილში, სადაც ჯერ კიდევ არ შეი-ძლებოდა ბიჯგების გამოყენება ზედაფენების დასამაგრებლად.

## კოლექტიური ხელშეკრულება

მშენებელ მუშათა პროფესიონალურ კავშირის ჭიათუ-რის განყოფილება შეუდგა კოლექტიურ ხელშეკრულების დადებას სააქციონერო საზოგადოება—„საქართველოს შავი ქვა"-სთან.

დღემდი მათ შორის არავითარი კოლექტიური ხელშეკ-რულება არ ყოფილა.

## ხვნა ტრაქტორით

ბათუმის მაზრის საკრედიტო—საკოოპერაციო ამხანაგო-ბა აწარმოებს ტრაქტორით მიწის ხვნას კახაბერის დაბლობე-ბში. უკვე მოხნულია 500 დესეტინა გლეხთა მიწა.

# „კავშირის ცაკის მე-2 სესიის გახსნისთვის“.

(„პრავდა“-ს წერილი)

ამ სათაურით პრავდაში მოთავსებულია მოწინავე წერილი, რომელშიაც სხვათაშორის ნათქვამია:

„სესიის ძირითადი მუშაობა იქნება საკავშირო რესპუბლიკებისა და ს. ს. რ. კავშირის 1925—26 წლის ბიუჯეტის განხილვა.

სახალხო მეურნეობის ზრდას ამტკიცებს ჩვენი ბიუჯეტის ზრდა, რომელიც უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა.

1922-23 წ. ის უდრიდა ერთ მილიარდ 480 მილიონ მანეთს; 1924—25 წ.—ორ მილიარდ 298 მილიონ მანეთს; 1924—25 წელში—2 მილიარდ 905 მილიონს, ხოლო 1925—26 წ. კავშირის ბიუჯეტი აღწევს 4 მილიარდამდი.

ბიუჯეტში პირველი ადგილი უჭირავს არა საგადასახადო ხასიათის შემოსავალს, რომელიც შეადგენს ყველა ჩვეულებრივი შემოსავლის 51 პროცენტს.

ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხარჯებს სახალხო მეურნეობის სხვა და სხვა დარგებზე, როგორიცაა მრეწველობა, აღმშენებლობა, ელექტროფიკაცია, კოოპერაცია, კომუნალური კრედიტი, რომელიც მთლიანად შეადგენს 336 მილ. მანეთს. სასოფლო-მეურნეობის საჭიროებისთვის გათვალისწინებულია ბიუჯეტით 260 მილ. მანეთი.

საგრძნობლად გაიზარდა ამ წელში ხარჯები მოსახლეობის კულტურულ-სოციალურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტებს ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში უჭირავთ ერთი მეოთხედი და შეადგენს 950 მილიონზე მეტს, გასული წლის 638 მილ. 500 ათასთან შედარებით.

ბიუჯეტში გათვალისწინებულია აგრეთვე რეზერვი 100 მილიონი მანეთის რაოდენობით. შემდეგი საკითხი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ბიუჯეტთან,—ეს არის „ადგილობრივ ფინანსთა შესახებ დებულების“ გადასინჯვა... (გამოშვებულია) საკითხი სასოფლო სამეურნეო გადასახადის დადების არსებულ სისტემის შეცვლის შესახებ.

ახალი კანონი გადადის შემოსავლის გამოანგარიშებაზე ფულის ერთეულებში—მანეთებსა და კაპეიკებში.

ამან საგრძნობლად უნდა გაამარტივოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემა და ჰყოს ის გასაგებად და ცხოვრებაში ადვილად გასატარებლად.

ახალი კანონით გადასახადი ეხება აგრეთვე სასოფლო მეურნეობის მეორე ხარისხოვან დარგებს და არა სამიწადმოქმედო შემოსავალს და სხვ. ეს შექმნის ნამდვილ სწორ კლასობრივ საგადასახადო პოლიტიკას სოფლად. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ორი მესამედის (დაახლოებით 200 მილ. მან.) ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაცემა გამოიწვევს ადგილობრივ აღმასკომების ერთგვარ ეკონომიურ დაინტერესებას და ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უფრო სერიოზულად და ყურადღებით გატარებას“.

# გადასწყვიტეს.

რაზე დაობენ?
ვის ქონებაზე, ვის სიმდიდრეზე დაობენ?
მოკლეთ: რა უნდათ?
რა უნდათ და უნდათ მიწა,
უნდათ რუსეთის ნოყიერი, თვალუწვდენი
მინდვრები, ყანები, ხოდაბუნები.
კარგათ იციან ფასი ამ მიწის,
დიდი ხანი, რამოდენიმე ათეული საუკუნე
აცხოვრებდა მუქთა ხორა თავად-აზნაურობას
ნოყიერი მიწა და შიგ მრავლად ნადვრილი
გლეხის ოფლი.
და ეხლა იქ, პარიზში და ევროპის სხვა ქალაქებში
გაძევებულნი იგონებენ შავს მიწას
და მოუნდათ მისი ხილვა,
მოუნდათ ნებიერი ცხოვრება.
„ბატონებო და ქალბატონებო!
მიწა ჩვენია. რა ვუყოთ, რომ
ჭუჭყიანმა გლეხებმა იგი მიისაკუთრეს?
ჩვენ უნდა დავადგინოთ, რომ მიწა ჩამოერთვას
გლეხობას და გადაეცეს მემამულეებს“.
კრება თეთრგვარდიელთა აღფრთოვანებით შეხვდა
გადაწყვეტილებას,
ყველა ხარობდა, სიამოვნებით უბრწყინავდა სახე,
გეგონებოდათ უკვე დამკვიდრდენ
თავის სასახლეებში, თავის პალატებში.
„მაგრამ ბატონებო!
ცოტა უხერხულია ასე ხმამაღლა გულახდილად
განცხადება
ამ მნიშვნელოვან საკითხის.
ჩუმათ დავადგინოთ და შეუდგეთ მის
განხორციელებას“.
გადაწყდა: მიწა მემამულეს.
მაგრამ ზარალი, ის ზარალი, რომელიც
მიაყენეს გლეხებმა წარჩინებულთ?
განა ეპატიება თავხედობა გლეხობას?
არა.
გადასწყდა: რა ვუყოთ, რაც დაიღუპა—დაიღუპა,
მხოლოდ, რაც გადარჩა რევოლიუციას, „ბოლშევიკების
განადგურებას“
ის ჩამოერთვას გლეხობას და
დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელთ.
ჭკვიანური გადაწყვეტილებაა,
სხვანაირად ვერც მოიქცეოდნენ!

—

შეიკრიბნენ სოფლის მცხოვრებნი,
ბევრი იმსჯელეს მიწის მოწყობაზე,
სასოფლო სახლზე, ტრაქტორებზე,
მოსავალზე.
გადასწყვიტეს: მოსავალი
რადგან კარგია,
გაიყიდება კარგ ფასებში,
მერმისისთვის შევიძინოთ ესრე
ძმურად, სასოფლოთ
სამი ტრაქტორი.
ავაგოთ მოზრდილი სასოფლო სახლი,
კერა სწავლა-განათლების, კერა კულტურის.
დიდის აღტაცებით, აღფრთოვანებით შეხვდა გლეხობა
ამ გადაწყვეტილებას.
როს დაიშალნენ ღიმილით, სიამოვნებით
ყველა გრძნობდა, რომ გააკეთეს
დიადი საქმე,
საქმე მომავლის.

ე. ხუციშვილი.

# რკინის გზით ჯარების გადაყვან

რკინის გზას დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის აღორძინების დარგში, მით უმეტეს ომიანობის დროს, როდესაც მისი საშუალებით სხვა და სხვა შორ კუთხეებში გვიხდება ჯარების გადაზიდვა და მათი მარაგის გადატანა; როგორიცაა: სურსათი, ტანისამოსი, იარაღები, ტყვია-წამალი, სხვა და სხვა საბარგულები, საარტილერიო და ტეხნიკური ქონება, აგრეთვე ცხენები და მრავალი სხვა სულდგმული საქონლები. რასაკვირველია, ყოველთვის რკინის გზით კი არ იქნება ჯარების და მარაგის გადაზიდვა, არამედ ფეხით და სხვა და სხვა საშუალებებით, როდესაც ამას მოითხოვს საჭიროება; საერთოდ ბრძოლის ცენტრალური ფიგურა იყო, არის და იქნება—უბრალო მსროლელი იმიტომ, რომ ის შედის მტრის პოზიციაზე, იპყრობს მას და დგება მაგარი ფეხით იმ ადგილას, რაც წინეთ ეჭირა მტერს.

წინა პოზიციებზე მდგომი ჯარების სიძლიერე დამოკიდებული მაგარ ზურგზე, სადაც მნიშვნელოვან წერტებზე მოგვარებულია ყოველივე საჭირბოროტო საკითხი, როგორიც არის-სხვა და სხვა მარაგების და საჭირო რეზერვების კონცენტრაცია, გადაჯგ
ფება.
ყოველივე ეს ხდება რკინ
გზის საშუალებით. იმპერ
ლისტური ომის დროს ხშირ
იყო შემთხვევა, როდესაც
რის მთელი რიგი ნაწილე
რჩებოდა ხოლმე უპუროთ
ურეზერვოთ, იმიტომ, რ
რკინის გზიდან პოზიცია ი
300—400 კილომეტრამდე
თანაც ზურგის საქმე ტეხნ
კურად ვერ იყო მოგვარებ
ლი. დღეს მთელ მსოფლიო
ვითარდება საჰაერო ფლოტ
რომელსაც დიდი მნიშვნელ
ბა აქვს მეურნეობის დარგ
მით უმეტეს სამხედრო დარ
ში, რადგანაც ის აწარმოე
სხვა და სხვა ბრძოლებს მომ
ვალი ომში, მაგრამ მიუხედ
ვათ ამისა—რკინის გზის მნი
ვნელობა ამით მაინც არ მცი
დება.
რკინის გზა, როგორც ას
თი მნიშვნელოვანი, მით უმ
ტეს ომიანობის დროს დაც
ლია საჭირო ადგილებში ყ
რაულებით, რომ მტერმა
ააფეთქოს ხიდები, გვირაბებ
არ აყაროს ლიანდაგები, არ ი
დოს სადგური ხელში და მი
არ შეწყდეს ჯარების მსვლ
ლობა, კავშირი და მრავალ
სხვა, რაც იქონიებს გავლენ
ბრძოლის მსვლელობაზე.

ჯ. ქუთელია.

# ჯარის ნაწილის მიერ ხარჯთ აღრიცხვის შედგენა

გარდა სამუშაო გეგმისა, რომელიც შეადგენს თვითეული ჯარის ნაწილის ყოველგვარ მუშაობის საძირკველს, უნდა ჰქონდეს ერთეულს კიდევ წინასწარი მოსაზრებანი იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს გამოყენებული ყველა ის სახსრები (თანხები), რომელიც მიეცემა ერთეულს თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

აი ეს წინასწარი განზრახვანი საოპერაციო წლის განმავლობაში ყველა ხარჯების შესახებ და აგრეთვე ცნობები მისაღებ თანხების შესახებ ამავე დროისთვის—შეადგენენ ერთეულის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის მასალას.

რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს 1924 წ. № 1423 ბრძანება გვიკარნახებს რა საერთოთ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის საჭიროებას, მიგვითითებს სამნეო ფონდიდან თანხების მხოლოდ სწორ ხარჯვაზე, მაგრამ იგი კი არას ამბობს ლეგიონის ხარჯთ-აღრიცხვაზე.

ჩვენ ვიცით რომ ერთეულში, გარდა სამნეო ფონდისა, არის კიდევ საარტელო თანხები და სხვა და სხვა წყაროები ფულის შემოსავლისა, რომლის ნაშთები შეიძლება დარჩეს ხოლმე ჯარის ნაწილის განკარგულებაში.

ამნაირად მოითხოვს საჭიროება, რომ ყველა თანხები, რომელიც მოდის ერთეულის სრულ განკარგულებაში და რომლის ნაშთები არ უნდა იქნას შეტანილი ხაზინაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთეულის საჭიროებისათვის (აგრეთვე სხვა და სხვა შემთხვევითი თანხებიც, რომელი
ჯარის ნაწილს შეუძლიან
ხარჯოს თავის განკარგულებ
და ამავე დროს უნდა გაერთ
ანებულ იქნას ერთეულის ხ
რჯთ-აღრიცხვაში.
ერთეულის ხარჯთ-აღრიც
ხვაში შეტანილ უნდა იქნ
„შემოსავალში“ ყველა ის თ
ნხები—ხაზინიდანაა გაცემულ
თუ შემთხვევითაა შემოსულ
რომელიც შეიძლება გამოყ
ნებულ იქნას სხვა და სხ
გვარ სამნეო საჭიროებისთვი
ხოლო „გასავალში“—ყველ
ის საჭიროებანი, რომლებ
დაკმაყოფილება გათვალისწ
ნებულია გეგმით და რომლის
თვისაც იქნება მიღებული ხარ
ჯთ-აღრიცხვის „შემოსავალში
სათანადო თანხა.
გეგმა და ხარჯთ-აღრიცხ
უნდა იყოს ყველა მნეობაში
მაგრამ ლეგიონის ხარჯთ-აღ
რიცხვას აქვს თავისი საკუთარ
ხასიათი, ჯარის-ნაწილის ყოფ
ცხოვრების მიხედვით, რომე
ლიც მოითხოვს მნეობის უფრ
გამარტივებულ წესს, ნაკლე
ფორმალობას.
წინდაწინ მთელი წლისთვ
ყველა ხარჯების გათვალისწ
ნება შესაძლებელია, მაგრა
რადგან ხშირათ ერთეულ
ცხოვრების პირობები იცვლ
ხოლმე, როგორც საერთო წ
სი, ხარჯთ-აღრიცხვაც მთელ
საოპერაციო წლის განმავლ
ბაში—შეიცვლება ასე თუ ის
ამასთან არ უნდა დაგვავიწყდ
ერთი ძირითადი წესი, რომ
შესწორების და შეცვლის დ
ოს, ხარჯების გასავალი არ
ემატებოდეს შემოსავალს
და არ იყოს გადანახარჯი, რო
მლის დასაკმაყოფილებლად ე
თეულის განკარგულებაში
იქნება სათანადო წყაროები.

ნ. შ.

# უნდა გამოსწორდეს.

ზედმეტია იმის თქმა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ მუშაობისათვის ბეჭვდითი საქმეს და კერძოთ კი ჟურნალებსა და გაზეთებს. წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე მცოდნე წითელ-არმიელი პირველად ყაზარმაში მოსვლის დროს ჯერ დიდი ინტერესით უგდებს ყურს გაზეთების ხმა მაღალ კითხვას, შემდეგ კი თვითონ ახერხებს ამ გაზეთის კითხვას. განსაკუთრებულ მის ყურადღებას იწვევს გაზეთი „წითელ არმიელი“, სადაც შუქდება წითელი არმიის ცხოვრება, თითეულ ნაწილის ყოფა-ცხოვრების საკითხები და სხვა. თუ რამდენად ჩვენი ნაწილების ბიბლიოთეკების მიერ სწორია აღებული გეზი მასიურ მუშაობასთან დაახლოვებისათვის, წითელ არმიელთა მასების ჟურნალ-გაზეთებით დაკმაყოფილებისათვის, ამის შესახებ მე უნდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა.

**გაზეთი.**

პირველად გაზეთ „წითელ-არმიელი“-ს შესახებ. ყოველმა ბიბგამგემ კარგად იცის, რომ წითელ არმიელს უყვარს ქონდეს გაზეთი თავის ასეულის ლენკუთხეში, ვიდრე მის წასაკითხავად იაროს ლეგიონის სამკითხველოში. საერთოდ პოლიტიკურ მუშაობაში ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობთ და განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ლენკუთხეების მუშაობის გამოცოცხლებასა და გაღრმავებას. სამწუხაროდ ეს არ პოულობს დიდ გამოხატულებას ბიბლიოთეკის მუშაობაში. მაგალითად ერთ-ერთ ლეგიონში ასეულის ლენკუთხეს მოსდის 1 ცალი „წითელ არმიელი“-სა. ერთი კუთხულობს და დანარჩენი კი იცდიან, როდის მოვა მათი რიგი. არც ერთ პოლიტმომუშავეს არ შეუძლია სთქვას, რომ ერთი ცალი „წითელ არმიელი“ საკმარისია ასეულის ლენკუთხისათვის. ეს რიცხვი ხუთჯერ მაინც უნდა გამრავლდეს, თუ გინდ სხვა ლიტერატურის ხარჯზე, რადგანაც გაზეთი „წითელ არმიელი“ არა ნაკლებ ძვირფასია წითელ არმიელისათვის, ვიდრე ტანსაცმელი, სადილი და სხვა. აგრეთვე არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს ქართულ ენაზე დანარჩენ გაზეთების საკმაო რაოდენობით გამოწერას.

**ცოტა რამ ჟურნალების გამოწერის შესახებ.**

მოვიყვან მაგალითს. № ლეგიონს აქვს მარტის თვეში გამოწერილი 21 ჟურნალი, მათში ყველა რუსული და არც ერთი ქართული. თვით ბიბგამგის განცხადებით შეიძლება ერთი მეათედი ამ ჟურნალებისა იკითხება უფპოლიტშემადგენლობის მიერ და დანარჩენი კი რჩება ხელუხლებელი. არც შეიძლება უარყოფა იმისა, რომ ჟურნალების ასეთი რაოდენობა, თუ გინდ რუსულ ენაზე, ამდიდრებს ბიბლიოთეკას, მაგრამ ცოტა აქვს ამას კავშირი მასიურ მუშაობასთან წითელ არმიელთა შორის, რაც ყოველ ბიბლიოთეკის მუშაობის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. ამიტომ არ არის გასაკვირალი, რომ ასეთ შემთხვევაში თქვენ იმავე ნაწილის ლენკუთხეში ვერ ნახავთ რაიმე პოპულიარულ ჟურნალს, ვინაიდან ლეგიონი იღებს მხოლოდ რუსულ ჟურნალებს. (მე არ ვთვლი გაზეთ „კომუნისტი“-ს დამატებებს, რაც ამ გაზეთთან ერთად მოდის).

ყოველივე ეს მაჩვენებელია იმისა, რომ სუსტად მიმდინარეობს ბიბმუშაკების მიერ ფართო წითელ არმიელთა მასების მოთხოვნილებათა შესწავლა და ამის თანახმად თავის მუშაობის მართვა.

**გლეხური ლიტერატურა—წითელ არმიელს.**

ერთ-ერთ ლეგიონში სრულიად არ მოდის გაზეთი „ახალი სოფელი“, მიუხედავათ იმისა, რომ მოთხოვნილება წითელ არმიელებისა ამ გაზეთზე მეტად დიდია. ამ გაზეთის უქონლობა იყო ახსნილი იმით, რომ „თუმცა გამოწერილია, მაგრამ ვერ მივიღეთ, არ იგზავნება გაზეთის ექსპედიციის მიერ“-ო. ჩვენ ვკითხულობთ, რომ შეიძლება ამ შემთხვევაში გაზეთის დროებით ყიდვა ბაზარზე, რომელიც თვიურად ღირს 13 კაპ. ყოველ ნაწილს, მით უმეტეს ლეგიონს ეს შეუძლია, საჭიროა მხოლოდ ინიციატივა და ყურადღება. შესანიშნავი და შინაარსიანი ჟურნალი „ახალი სოფელი“ სრულიად არ იწერება ზოგ ნაწილების მიერ. სუსტად მიმდინარეობს აგრეთვე დანარჩენ ქართულ ჟურნალების მიღება.

ჩვენ არ ვიტყვით, რომ ყველა ნაწილებშია ასეთი არასასიხარულო სურათი, მხოლოდ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს იმდენად მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხთაგანი, რომ ღირსია ჩვენი სათანადო ყურადღებისა.

ი. რუდოვსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ვემზადებით დღესასწაულისათვის.

ცხენ. ლეგიონი.

ნაწილში უკვე დაიწყო მზადება ლეგიონის წლის თავის აღსანიშნავი დღისათვის. მზადება განსაკუთრებით სწარმოებს სამხედრო საქმეში, ჯირითში და სხვა.

30 აპრილს მთელი ლეგიონი მიიღებს მონაწილეობას ცხენებზე ვარჯიშობაში, რომელსაც ამავე დროს ექნება შეჯიბრითი ხასიათი. გამარჯვებულებს დაურიგდებათ საჩუქრები. წითელ არმიელები დიდი აღფრთოვანებით ეგებებიან ამ დღეს, ყველა დიდ სამზადისშია, ყველას უნდა ისახელოს თავი ამ დღეს და დაამტკიცოს თავისი მომზადება და სიმამაცე.

სამხკორი პ. კახიძე.

## უფროსთა შემადგენლობის ხელახალი აღრიცხვა ზუგდიდის მაზრაში.

მეთაურთა ხელახალი აღრიცხვა ზუგდიდის მაზრაში დაიწყო 8 მარტიდან. რომ ნაყოფიერად ჩატარებულიყო ის, ზუგდიდის მაზრის სამხედრო კომისარიატმა, მიმართა ადგილობრივ პარტორგანოებს წინასწარ აგიტკამპანიის ჩატარებისათვის. მოწვეული იქნა ამ მიზნით რაიონულ სამხედრო მაგიდების გამგეთა თათბირი. მიეცათ ახსნა-განმარტება, თუ როგორი ზომები უნდა მიეღოთ ადგილობრივ აღრიცხვის ჩატარებისათვის. დაურიგდათ სახელმძღვანელო დირექტივები და სათანადო განცხადებები გასაკრავად. დაეგზავნა მიმართვები ყველა ორგანიზაციებს, რომ მათაც ენერგიული მონაწილეობა მიეღოთ ამ მუშაობაში. შესდგა საარიცხვო კომისია, რომელმაც ტერსამმართველოდან მიღებული ინსტრუქციები მთლიანად გაატარა ცხოვრებაში.

აღრიცხვაზე გამოცხადებულთათვის კომისარიატში მოწყობილი იქნა სამხედრო კუთხე, ლიტერატურით, ლოზუნგებით, პლაკატებით და სხვა. არავითარ უკმაყოფილებას და გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. სულ გატარებული იქნა აღრიცხვაში 242 კაცი.

კომისიამ ნაყოფიერად დაათავა მუშაობა, რაშიდაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ადგილობრივ პარტკომსაც.

სამხკორი წითელი.

## მე-3 ლეგიონის დრამწრის მუშაობა.

ლეგიონის დრამატიული წრის შემადგენლობა უმთავრესად წითელ არმიელებია. ყავს დაქირავებული მსახიობი ამხ. გომელაური, რომლის ხელმძღვანელობით დრამწრის მუშაობა თავის დონეზედ არის დაყენებული.

ყოველ შაბათ კვირაობით სისტემატიურად იმართება წარმოდგენა საღამოები.

უმთავრესი ყურადღება ექცევა აგრეთვე პიესების შერჩევას და იდგმება ისეთი პიესები, რომლებიც უფრო შეესაბამება წითელ არმიელების სულიერ მოთხოვნილებებს. მაგრამ ერთი ნაკლი მაინც დასდევს დრამწრის მუშაობას, რომელსაც აუცილებლად უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. წარმოდგენები არ იწყება თავის დროზედ. ზოგჯერ 10 საათამდე არ არის დაწყებული. მეტად დიდია აგრეთვე ანტრაქტები, რის გამოც წარმოდგენა ხშირად ღამის ორ საათამდე გრძელდება.

კარგი იქნება, რომ ჩვენი დრამწრის ხელმძღვანელი გაეცნობოდეს წითელ არმიელებისათვის განაწილებულ დროს და იმის მიხედვით დაიწყებოდეს წარმოდგენები.

სამხკორი ნიკა.

## ამხ. ოსიპოვი მე-2 ლეგიონში.

ჩვენს ლეგიონს ესტუმრა არმიის პოლიტ სამართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ოსიპოვი, რომელმაც დაათვალიერა ყველა ასეულები და ესწრებოდა პოლიტ მეცადინეობას რამოდენიმე წუთით.

აძლევდა წ, არმიელებს სხვა და სხვა შეკითხვებს პოლიტიკურ და საერთო განათლების დარგებში.

დაათვალიერა ლენ-კუთხები, კედლის გაზეთები და სხვა.

ბოლოს ამხ. ოსიპოვმა მოიწვია პოლიტმომუშავეები და მისცა მათ სხვა და სხვა დარიგებები, მიუთითა მუშაობის ზოგიერთ ნაკლულოვანებებზე, როგორიც არის მეცადინეობის დროს ჯგუფის ხელმძღვანელების მეტი კავშირი მსმენელებთან, საკითხებისადმი მიდგომა, შეამჩნია აგრეთვე ზოგიერთ ჯგუფებში წერა-კითხვის უცოდინარების შერევა კარგათ მცოდნეთა წ/არმიელებში, რისთვისაც მისცა მათ სათანადო ამოცანები, რისთვისაც მადლობა გამოეცხადა ამხანაგს.

სამხკორი ვ. ღ.

## ვემზადებით ცვალუგადელთა შესახვედრად.

5-ე ლეგ. 2-ე ათასეული.

ლეგიონის შემადგენლობასთან სისტემატიურად ტარდება ყოველგვარი მეცადინეობა. სამხედრო საქმესთან ერთად ყურადღება ექცევა პოლიტიკურ და კულტურულ განმანათლებელ მუშაობას.

განსაკუთრებით დიდი სამზადისი მიდის ცვალუებად წითელ არმიელთა შესახვედრად, რომლებიც გვეწვევიან ნაწილში მაისის რიცხვებში. წითელ არმიელებიდან დაწყებული და გათავებული მეთაურებით, ყველა ემზადება ამ მომენტისათვის. სწარმოებს სანიმუშოთ გაზეთების ხმამაღალი კითხვა საუბრების ჩატარება და სხვა საგანმანათლებლო მუშაობა.

წელს ყველაფერი იმის სასარგებლოთ ლაპარაკობს, რომ გაცილებით უფრო მომზადებული შეჰხვდებით ცვალებადელებს, ვინემ გასულ წელს. საამისო გამოცდილებან უკვე საკმაოდ გვაქვს მიღებული პირველი შეკრებებიდან.

სამხკორი გ. ნოზაძე.

## ჩვენი ლიტწრის საქმიანობიდან.

მე-3 ლეგიონი.

7 აპრილს ლეგიონის კლუბში შესდგა დანიელ ჭონქაძის მოთხრობის გმირის ვარდუას გასამართლება, რომელიც მოეწყო ნაწილში არსებული ლიტწრის თაოსნობით.

აუდიტორიას წინასწარ გააცნეს მოთხრობის შინაარსი და დაახასიათეს ცალ-ცალკე თითეული გმირი.

შემდეგ დაიწყო მხარეთა კამათი. ბრალდებაში აღნიშნული იყო მუხლობრივ ბრალდების შემდეგი თავები 1) ვარდუა დამხაშავეა როგორც შურისძიებისათვის წინასწარ მომზადებული.

2) როგორც დედობრივი სიყვარულის უარმყოფი, 3) როგორც შეგნებული ცრუმორწმუნე.

კამათში წითელ არმიელებმაც მიიღეს მონაწილეობა. დასასრულ მსაჯულთა მიერ ვარდუა დამნაშავეთ იქნა ცნობილი ბრალდების ყველა მუხლებში.

საერთოდ ლეგიონის ლიტწრე საგრძნობლად ამოქმედდა ამ ბოლო ხანებში. ხშირად ეწყობა ლიტგასამართლებები ყველა ასეულებში მისი თაოსნობით. ითრევს წითელ არმიელებს მუშაობაში და ამისთვის ყოველმხრივ ეწევა აგიტაციას. თუ ასე გაგრძელდა აუცილებლად კარგ შედეგებს მივიღებთ.

სამხკორი ბ. იოსელიანი.

## ლენ-კუთხის მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

ლენ-კუთხე, ყველა ლეგიონის ერთეულებში არის ის ცენტრი. აღმზრდელობითი კუთხე, სადაც სწარმოებს ყოველმხრივი აღმზრზრდელობითი მუშაობა წ/არმიელთა მასაში. ჩვენი წ/არმიელთა აღზრდის აკვანი—ლენ-კუთხე ემსახურება ამ საქმეს მისი შექმნის დღიდან წ/არმიაში და ღირსეულად სდგას თავის მოწოდების სიმაღლეზე. ლენ-კუთხის ღირებულება მასში წარმოებულ მუშაობით ხასიათდება.

ამ მხრივ ყველა ნაწილებში საგრძნობი მიღწევები გვაქვს, მხოლოთ მე მინდა მოკლეთ აღვნიშნო შემდეგი:

ლენ-კუთხის ბირთვების მუშაობა წ/არმიელთა ფართო მასის აქტიური მონაწილეობით. მაგალითისათვის მოვიყვანოთ მკითხველთა ბირთვი—ან საუბრის ჩამტარებელი ბირთვი. საუბარს უმეტეს შემთხვევაში ატარებს ისეთი წევრები, რომლებიც მომზადებული არიან ან კიდევ არის შემთხვევები, როცა ერთ და იმავე წევრს უხდება რამოდენიმეჯერ ჩატარება საუბრის. შეგნებულ წ/არმიელს, რომელიც საუბარს ატარებს, უხდება ხშირად მოუმზადებელი გამოსვლა, ვინაიდან დარწმუნებულია იმაში, რომ მასზედ მეტი მცოდნე მას არ ესწრება და კრიტიკის შიში სრულიად არ აქვს. ამიტომ ხშირია შემთხვევები, როცა საუბარი დასახულ მიზანს ვერ აღწევს და მსმენელ წ/არმიელებისათვისაც მოსაწყენი ხდება ერთ და იმავე პირისაგან საუბრის ჩატარება. მეორეს მხრივ საუბარი ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ შესაძლებელი იყოს წ/არმიელების დიდი ნაწილის გააქტივება. საჭიროა საუბრის ჩატარებას ახდენდეს არა თითო ოროლა წევრი, არამედ ვინც ამით არის დაინტერესებული შეგვეძლოს მისი ამოქმედება და გამოყენება. ლენ-კუთხის გამგე საუბრის ჩამტარებელ ბირთვში ჯერ უნდა იზიდავდეს რაც შეიძლება წ/არმიელთა ფართე მასას და მეორეს მხრივ ბირთვის წევრებს აძლევდეს ჩასატარებელ თემას, რაზედაც ყველა წევრები ემზადებიან. ლენ-კუთხის გამგემ უნდა შეეცადოს მისცეს მასალა მოსამზადებლათ ბირთვის წევრებს და ჩატარების დროს უკვე ბირთვიდან გამოყოს ერთი წევრი და საუბარი ჩაატარებინოს. თემაზე რამოდენიმე წევრი მზადაა, უსმენს ამხანაგს, მოხდება შეკითხვები, აზრის გაცვლა გამოცვლა, რაიც ხელს შეუწყობს წ/არმიელთა გააქტივების საქმეს. ლენ-კუთხე ამით გახდება წ/არმიელთა აღზრდის ორგანოსთან ერთად მასიური ხელმძღვანელების აღმზრდელიც, რითაც მეტი სიცოცხლე და ხალისი მოემატება ბირთვების მუშაობას და გამოცოცხლდება მთლიანად ლენ-კუთხის მუშაობაც ნაწილში.

სამხკორი ტ. მამალაძე.

## გაზ. „წითელ არმიელი“ საკმარისი არ მოგვდის.

1-ლ დივ. საარტილერიო ლეგიონი.

გაზეთ „წითელ არმიელი“ ჩვენს ნაწილში წინა თვეებში საკმარისი მოგვდიოდა, მაგრამ ერთი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც გაზეთების რიცხვი ძლიერ შემცირდა. ბატარეებს ეგზავნება სამი ცალი გაზეთი, რაიც არ აკმაყოფილებს წითელ არმიელთა მოთხოვნილებას.

გაზეთმა კარგი ავტორიტეტი მოიპოვა ჩვენს ნაწილებში. ყველა წ. არმიელები ეტანებიან უმეტესად „წითელ არმიელს“ იმ დროს, როდესაც ბატარეებში მასთან ერთად გვაქვს კიდევ სხვა გაზეთები.

საღამოობით, როცა თავს იყრიან დასასვენებლად, წითელ არმიელებისთვის ლენ-კუთხეში გაზ. „წითელ არმიელის“ საკმარისი რაოდენობა არ მოიპოება. საჭიროა მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას, ლეგიონმა მეტი გამოიწეროს გაზეთ „წითელ არმიელი“ და ამით დააკმაყოფილოს წ. არმიელთა მოთხოვნილება.

სამხკორი ტ—ძე.

## ჩვენი სამკითხველო.

მე-2 ცალკე საკავშირო ასეული.

ასეულში გვაქვს სამკითხველო, რომელიც ყველაფრით მოწესრიგებულია. სისტემატიურათ ვღებულობთ გაზეთებს და ჟურნალებს. წ. არმიელები გულდასმით კითხულობენ. სამკითხველოში არის კითხვა-პასუხის რვეული. წითელ არმიელებს ხშირად შეაქვთ შიგ გაუგებარი სიტყვები.

ბიბგამგემ განსაკუთრებული უნარიანობა გამოიჩინა ჩვენი სამკითხველოს გამშვენიერებაში.

მრავლად მოიპოება სამკითხველოში სხვა და სხვა დიაგრამები და ბელადების სურათები.

სამხკორი ქართველი.

## სამხედრო კუთხე გლეხთა ცენტრალურ სასახლეში

გლეხთა ცენტრალურ სასახლეში, მისი არსებობის წლის თავზე გაიხსნა მე-2 დივიზიის პოლიტგანყოფილების მეოხებით სამხედრო კუთხე. კუთხე ლამაზად და შინაარსიანად არის მოწყობილი. არის მრავალი სამხედრო მასალა, წითელ არმიის ბელადების სურათები მათი ცხოვრების აღწერით, წითელი ფიცის ტექსტი, დაშლილი შაშხანა და მრავალი სამხედრო ხასიათის ლოზუნგები.

სამხედრო კუთხის მუშაობის სალ ნიადაგზე დაყენებას გლეხის სახლში აქვს დიდი მნიშვნელობა გლეხობის გასამხედროების საქმეში.— ყოველ დღე გლეხთა სახლში თავს იყრის მრავალი გლეხობა, ჩამოსული საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან.

სამხედრო კუთხემ უნდა აწარმოოს მათ შორის მუშაობა. საუბრების, მოხსენებების და ექსკურსიების სახით.

უეჭველია, მხურვალე მონაწილეობა კუთხის მუშაობაში უნდა მიიღოს დივიზიასთან არსებულ სამხედრო—სამეცნიერო წრემ, რომელმაც უნდა დაიჭიროს მჭიდრო კავშირი სახლის გამგეობასთან.

შემდეგ კუთხის თანდათან გალამაზება—გაფართოება, შევსება ახალ-ახალი მასალით უნდა თავს იდონ თბილისში მდგომ ყველა ქართულმა ნაწილებმა. მათ დახმარებაზე ბევრი რამეა დამოკიდებული.

გლეხობა ხალისიანათ დაიარება კუთხეში, მას აინტერესებს სამხედრო საქმე, უნდა დაახლოვებით გაიცნოს წითელი არმიის ცხოვრება—ვითარება, მისი ისტორია და ჩვენ ფართედ უნდა გამოვიყენოთ გლეხობის ასეთი ინტერესი მისი გასამხედროების საქმისათვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხედრო ხასიათის ლიტერატურა ძალიან ნაკლებათ არის სამხედრო კუთხეში, სულ განისაზღვრება რამოდენიმე ცალი წიგნით. საჭიროა სასწრაფოდ ამ ნაკლის შევსება.

ი. ა.

## წიგნების გამომცემლობა საქართველოში.

1926 წლის პირველი სამი თვის (იანვარ-თებერვალ-მარტის) განმავლობაში „საქართველოში გამოიცა და საქართველოს წიგნის პალატამ მიიღო სულ 287 სხვა და სხვა სახელწოდების წიგნი.

მასალების მიხედვით სჩანს, რომ იანვარში დაბეჭდილა—75 წიგნი, თებერვალში—93 და მარტში 108 წიგნი. აქედან ქართულ ენაზე ამ სამე თვის განმავლობაში გამოცემულა 175 რუსულზე—86, სომხურზე—16, თურქულზე—4, ოსურზე—5 და ბერძნულზე—1.

აქედან ტფილისში გამოიცა 271, ქუთაისში—10, ცხინვალში—5 და ბათომში—1.

# ახალი ამბები

— **ახალი ქარხნები.** სახ. მეურნ. უმ. საბჭო ხსნის ახალ სახერხ ქარხნებს ბაღდადში, შემგონაში (სამეგრელო), მცხეთაში და ქსანში.

— **მიწათ-მოქმედების** კომისარიატი ხსნის მინდვრის მავნებლებთან საბრძოლველ პუნქტებს საქართველოს სხვა და სხვა რაიონებში.

— **ლუდი.** სახღვინსპირტის ლუდის ქარხანა ყოველდღიურათ ბაზარზე გამოუშვებს 60 ათას ბოთლს ლუდს.

— **ზარალი ქარისაგან.** უკანასკნელათ ქარმა ქალაქს მიაყენა 10 ათასი მანეთის ზარალი.

— **სახ. მეურნ. უმაღლეს** საბჭოს ხუთწლიანი გეგმის თანახმათ ქაღალდის წარმოების მოსაწყობათ საჭირო იქნება 7 მილიონი მანეთი.

— **დამზღვევი სალარო ბორჯომში** ხსნის ავათმყოფთათვის სპეციალურ სასადილოს.

— **ხუთწლიანი გეგმა.** ს. მ. უ. საბჭომ გამოიმუშავა თავისი საქმიანობის ხუთწლიანი გეგმა. გეგმაში გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლათ ს. მ. უ. საბჭომ გადასდო 39.064 ათასი მანეთი.

# მეცნიერება და ტექნიკა

**ავიაცია ღამით.**

საფრანგეთის ავიაციის ზოგიერთი ავტორიტეტების აზრით, ღამით ფრენას დიდი უპირატესობა აქვს ჰაერის მდგომარეობის მხრივ, რომ დარწმუნებულიყვნენ ამ შეხედულებაში, მოაწყვეს ღამით გადაფრენა რამოდენიმეჯერ. გადაფრენა სწარმოებს საფრანგეთიდან (ქალაქი ბურჟე) ლონდონამდე. მომხდარი ცდებიდან გამოტანილი იქნა შემდეგი დასკვნები: ღამით ფრენა ისეთვე წარმატებით შეიძლება იქნეს წარმოებული, როგორც დღით. ამას გარდა ჰაეროპლანი გაცილებით უფრო ჩქარა ფრინავს ღამით. ღამით ფრენის დროს არა ნაკლებად შეიძლება გაგნებაზე დადგომა, ვინემ დღისით.

აქედან შეიძლება ითქვას, რომ ღამით ფრენის მოწყობა სავაჭრო ავიაციისათვის რამოდენიმე თვის საკითხი არის.

**ახალი სამგზავრო ჰაეროპლანები.**

ამ თვის ბოლო რიცხვებიდან განზრახულია ინგლისის საიმპერიო საჰაერო ფლოტის საზოგადოების ჰაეროპლანების გადახალისება. მცირე ძალის მოტორებიანი ჰაეროპლანები, უკვე აღარ არიან გამოსადეგი ინგლისში, რადგან ძლიერ მომრავლდენ ძლიერი მოტორებიანი ჰაეროპლანები. ამიტომ განიზრახეს მცირე ძალიანების გადაკეთება. იმ მცირე აპარატების მაგივრად, რომლებსაც შეეძლოთ 12 კაცის წაყვანა, აპრილის ბოლო რიცხვებიდან შემოღებული იქნება აპარატები, რომლებიც გადაიყვანენ 18 მგზავრს და ამასთანავე ერთად შეეძლებათ 122 ფუთი სიმძიმის წაღება.

# უცხოეთის არმიებში

**საბჭოთა კავშირის მეზობელი ქვეყნები.**

ჩვენი საბჭოთა კავშირის მეზობლების—პოლონეთის, რუმინეთის, ესტონეთის და სხვათა არმიები ძლიერ ორგანიზაციული და საუკეთესოდ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენს. პოლონეთის არმიაში დიდი კულტურულ - განმანათლებელი მუშაობა სწარმოებს, ოფიცრებს ამზადებენ სპეციალურ სკოლებში, რომლებიც ჩასჩიჩინებენ ჯარის კაცებს **სამშობლოსადმი სიყვარულს**, მოუწოდებენ ჯარის კაცებს უმწიკლოდ დაიცვან თავისი ღირსება, ყოველთვის ახსოვდეს პოლონეთის ნაციონალური გმირების დიდი ტრადიციები და მრავალი სხვა.

ჯარის კაცებს სისტემატიურად აქეზებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. აქედან ცხადია, რომ ომის შემთხვევაშიც კი, ასეთი წესით აღზრდილი და გადაგვარებული ჯარის კაცები გვიანამდე ვერ მოვლენ გრძნობაზე და ვერ შესძლებენ დაინახონ თუ ვის ინტერესებს იცავენ.

საუკეთესო სამხედრო სპეციალისტების აზრით, პოლონეთის არმია ერთადერთია ევროპაში, რომელსაც ყველაზე უფრო წარმატებით შეუძლია ბრძოლის წარმოება და რომელსაც ყველაზე უფრო დიდი უნარი აქვს ამისთვის ამჟამად. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ინგლისისა და საფრანგეთის გენერალური შტაბები მჭიდროდ არიან დაკავშირებული პოლონეთის არმიასთან. მანევრებისა და სამხედრო თამაშსს ისინი ყოველთვის ესწრებიან პოლონეთის არმიაში. სროლის საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწიეს პოლონეთის ჯარის კაცებმა. დიდი მზრუნველობით სწარმოებს მათთან სპეციალისტების მომზადება.

რუმინეთის არმია უფრო სუსტია პოლონეთზე, მაგრამ მასაც დიდ დახმარებას უწევს ინგლისის გენერალური შტაბი და ამიტომ იგიც სერიოზული ძალას წარმოადგენს.

ყველა ეს გარემოება ერთხელ კიდევ გვეუბნება, რომ ჩვენი წითელი ჯარის აღზრდის საქმეს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. წითელი არმიელი, რომელმაც კარგად იცის თუ ვის ინტერესებს ემსახურება, საკუთესოდ გაწვრთნილი უნდა იქნეს. ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ ჩვენს მეზობლებს, როგორც სამხედრო და კულტურულ პოლიტიკურ მომზადებაში ისე, ტეხნიკური შეიარაღების მხრივაც და ამავე დროს თვალყური ვადევნოთ ჩვენი მტრების მზადებას და მათ მიღწევებს.

# პასუხი შეკითხვებზე

— მა—რაძეს. ვინაიდან თქვენი გაყოფა ძმასთან არ იყო რეგისტრაციაში გატარებული, ამიტომ არავითარ შეღავათებით სარგებლობა არ შეგიძლიათ.

— კურსანტს. რევოლვერის შეძენა და შენახვა, რა სისტემისა არ უნდა იყოს, არ შეგიძლიათ, რადგან ქვეითი სკოლის კურსანტს არ აქვს ამის ნება.

— მ—შვილს. თქვენს შეკითხვაში არ არის მოყვანილი ისეთი საბუთი, რომლითაც შეგეძლოთ ეხლა უვადო შვებულებაში წასვლა.

— მელიკოვს. განთავისუფლებილი იქნებით ა. წ. შემოდგომაზე.

— ო. გ. საბუთი, რომელიც თქვენ გაქვთ არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ წინანდელი თქვენი სამსახური ჩაეთვალათ ნამდვილ სამხ. სამსახურათ, ამიტომ გაგიწვიეს.

— კურსან ა—ს. კომუნალურ ფულს ვერ მიიღებთ.

— ფავ—შვილს. თქვენი გადაყვანა არ შეიძლება.

— დ—ძეს. თქვენი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით თქვენ სარგებლობთ მესამე და არა პირველი ხარისხის შეღავათებით (ბრ. №865—25 წ.)

— სოლომონს. თქვენი ოჯახის მიხედვით თქვენ არავითარი შეღავათებით სარგებლობა არ შეგეძლოთ.

— ბ. რ. თქვენ ძმას შეუძლია ტერნაწილში გადარიცხვა.

— მჭედელს. უნდა იმსახუროთ სამი წელიწადი.

— ნავთლუღელს. თქვენი შეკითხვა გაუგებარია მოიწერეთ გარკვეულად.

— იას. ხელმოუწერელ შეკითხვებზე პასუხს არ მიიღებთ. უსათუოდ უნდა იყოს სახელი და გვარი მოწერილი და აგრეთვე ნაწილი.

— ვარდის უბნელს. თქვენი შეკითხვა არ მიგვიღია.

— კუ—შვილს. თუ საექიმო კომისიამ ჯანსაღათ გიცნოთ, ამის შემდეგ, ცხადია, არ გაგანთავისუფლებენ.

— ოდიშელს. ფეხსაცმელს ნაწილში შეგიკეთებენ.

— კეკელიძეს. ორი წლის ტარების ვადა.

— ან—ძეს. უნდა მოახდინოთ კვლევა-ძიება დაკარგულ მაზარის შესახებ.

— შემახელს. არ მოგეცემათ.

— ბელქანიას. (გადამწერს) უნდა იმსახუროთ სამი წელიწადი.

# ჩვენი ფოსტა.

მოსე ჰყონიას: თქვენი წერილები მივიღეთ, მხოლოდ ვერ გამოვიყენეთ, ვინაიდან შეუძლებელია მათი გადაკითხვა. სწერეთ მოკლეთ, გარკვევით და არსებითად.

სიმართლის შვილს (მეთ. სკოლა), შ. ჩაღუნელს (1-ლ ლეგ. ბატ.) ვეშაპურს (მე-6 ლეგიონი) თქვენი წერილები გამოდგება კედლის გაზეთისთვის.

სოფლის მუშას—წერილი გაუგებარია, სწერეთ გარკვევით.

ა. მახარაძეს (დ. სფუსა)—ლექსი არ დაიბეჭდება, მოგვაწოდეთ წერილები.

მუშა—გლეხს (ცხენ. ლეგ. —გადაეგზავნა „ახალ სოფელს“.

კორ. ლანჩავას. (მე-5 ლეგ.)—გადაეგზავნა ნაწილის სამხკომს.

გამვლელს (1-ლი ლეგ.) —გადაეგზავნა ქალაქის კამენდანტს.

სამხკორ თადიაშვილს— მოიწერეთ გარკვევით რა ხდება ნაწილში საჭიროა ფაქტები.

ამხკორ შენგელიას—წერილი „კომუჯრედის კრება“ არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ წერილი უჯრედის ცხოვრებიდან და არა მშრალი ოქმები.

სუდღრის პირელს (მე-2 ლეგიონი), ი. ცერცვაძეს (მე-2 საკ. ას.) —არ დაიბეჭდება, იყო ასეთი ჩვენ გაზეთში.

ქ. გოგიტიძეს, ღელისპირელს—წერილები „მე-2 ლეგიონის ცხოვრებიდან“ და „ჩვენი ზეიმი“ არ გავა, დაგვიანებულია.

დათიკოს (საწირე), მჩხრეკს (1-ლ. ლეგ. 4 ასეული)—წერილები არ დაიბეჭდება.

როსნაძეს (2-ე საკ. ასეული), ჩაგელიშვილს (1-ლეგ. 8ასეული) მარინავას (ოზურგეთი), გულეიკარელს, ა. იმერლიშვილს—წერილები „მადლობის ღირსია“, „ხელმძღვანელიც ასეთი უნდა“, „ენერგიული მუშაკი“, „მადლობის ღირსია“ და „მაგალითის მაჩვენებელი“—არ დაიბეჭდება.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატ, რუბენ მელიქისძე ოგანეზოვს, რომელიც თხოულობს პარტიის წევრად დამტკიცებას. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ამის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღის განმავლობაში კომუჯრედში.

კომ. მდივანი ხარატიშვილი.

---

მე-2 არტლეგიონის დივიზიონის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ კომკავშირის წევრებს: ალექსი ლევანისძე შანშიაშვილს, ნიკოლოზ ლუკასძე ეჯიბიას და ივანე გიორგისძე ბურდილაძეს.

უპარტიო წითელ არმიელებს

სიმონ გიორგისძე ხარშლაძეს, ივანე დიმიტრისძე დვალიშვილს, ირაკლი ანტონისძე ლომიძეს და ალექსი ზოსიმესძე ცქიტიშვილს.

თუ ვინმეს გაქვთ მათი მიღების საწინააღმდეგოთ რაიმე საბუთები, გთხოვთ გვაცნობოთ განცხადების გამოქვეყნების დღიდან შვიდი დღის განმავლობაში.

მდივანი ალ. იმედაძე.

ცირკულიარულად.

## ს. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

წელს პირველ მაისის დღესასწაული ხვდება რელიგიურ დღეს—აღდგომას. პირველ მაისის დღესასწაული არ უნდა გადაიქცეს ანტი-რელიგიურ კამპანიათ. ამისათვის, დღესასწაულის გატარების დროს უნდა ერიდოთ მკაცრ ანტი-რელიგიურ გამოსვლებს. ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტები ვალდებულია პირველი მაისის დღესასწაული გაატარონ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით იმ გეგმის მიხედვით, რომელიც აქვე იბეჭდება.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი **მ. ოკუჯავა.**

საავ.-საპროპ. განყ. გამგე **ვ. ბახტაძე.**

### როგორ ჩატარდება პირველი მაისის დღესასწაული ქალაქში.

1-ლ მაისს ტფილისში—მასიური დემონსტრაციები და სამხედრო ნაწილების ფიცი. მუშათა ცენტრებში ახლობელ სოფლების გლეხებთან, სამხედრო ნაწილების ფიცი.

დანარჩენ სამაზრო ცენტრებში მიტინგები ახლობელ სოფლების გლეხებთან ერთად და სამხედრო ნაწილების ფიცი.

საღამოს კლუბებში: სპექტაკლები, სცენები, კინო, ცოცხალი გაზეთი, საკონცერტო განყოფილებანი და სხვ.

2 მაისს ტფილისში და ბათომში—მაისობა მოძრავ მიტინგებით, თამაში, იუმორისტული გამოსვლები, ფიზკულტურის წრეების გამოსვლები, სხვა მუშათა ცენტრებში (ჭიათურა, ხაშური, ფოთი და სხ.) მაისობა ეწყობა ადგილობრივ ორგანიზაციების გეგმით. საღამოს ყველა ქალაქებში, კლუბებში წარმოდგენები შესაფერი პროგრამით.

კლუბის ბიბლიოთეკა აწყობს გამოფენას, წრეები სცემენ კედლის გაზეთებს, ახალგაზრდათა სექციები მართავენ საღამოს. ეწყობა აგრეთვე მასიური ექსკურსიები სხვა ქალაქებში და ახლობელ სოფლებში.

1-ლ მაისამდე: 1-ლი მაისის მნიშვნელობის და ისტორიის საკითხები მუშავდება აგიტატორთა წრეებში და კლუბებში, იმართება ჯგუფური და ინდივიდუალური საუბარი. მუშა-მოსამსახურეთა შორის. 1-ლი მაისის მნიშვნელობა და ისტორია სისტემატიურად უნდა იქნეს გაშუქებული ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში.

ქალაქები იღებენ სადღესასწაულო ელფერს ილიუმინაციის გამართვით და სხვა.

### 1 მაისი სოფლად.

სოფლად პირველი მაისის ჩატარების ცენტრად უნდა გახდეს ქოხ-სამკითხველოები. დღესასწაულის რამდენიმე დღით ადრე უჯრედების ღია კრებებზე კომკავშირისა და უპარტიოებთან ერთად უნდა იმართებოდეს მოხსენებები 1-ლი მაისის მნიშვნელობის შესახებ. სკოლებში მასწავლებელთა შორის იმართება საუბრები პირველი მაისის შესახებ. ქოხ-სამკითხველოებში მოხსენება-საუბრები; 1-ლ მაისამდე მომზადებულ პარტ.-ამხ., სოფლის ინტელიგენციის და მოწინავე გლეხობის საშუალებით იმართება ჯგუფური საუბრები გლეხობაში (მოხსენებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს საშეფო ორგანიზაციების მომხსენებლები).

დღით 1-ლ მაისს სოფლად სათემო ცენტრში იმართება თემის საბჭოების ფართე სადღესასწაულო სხდომები სოფლის სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად (პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციები, გლეხკომები, სოფლის ინტელიგენცია და სხვ.) 1-ლი მაისის შესახებ შეფების ჩამოსვლა უნდა დაუკავშირდეს ამ სხდომებს.

საღამოს: ქოხ-სამკითხველოებში სახალხო სახლებში, კლუბებში იმართება მოხსენებები, სცენები, დეკლამაცია და სხვ.

ამ დრომდე კი ქოხ-სამკითხველო აწყობს გამოფენას 1-ლ მაისისათვის და სცემს კედლის გაზეთს.

1 მაისს საპირველმაისო კომისიის ხელმძღვანელობით იმართება სახალხო თამაში, სიმღერები, ცეკვა, ჯირითი.

ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით გაიმართოს მოძრავი მიტინგები.

საღამოს 2 მაისს სახალხო სახლებში, კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში, წარმოდგენები, გუნდები, დეკლამაცია და სხვ. ახალი პროგრამით.

იმართება საბავშო დილა მოხსენებით, სცენებით, წარმოდგენებით, მუსიკალურ განყოფილებებით საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობით.

სეირნობის შემდეგ თამაში. საღამოს საბავშო კინო. შეფები დახმარებას უწევს საშეფო კოლექტივებს (პიონერთა კოსტიუმები და სხვ.).

დღესასწაულს ხელმძღვანელობს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ბავშები, მასწავლებლობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

---

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“**

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.